საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №35

ქ. თბილისი

20.06.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სხდომის თავმჯდომარე;

ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
თამარ გიორგობიანი (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი)
ქრისტინე აბულაძე (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი)
ანა წამალაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები
დარეჯან ჯავახიშვილი - პროფესორი
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ირმა კირთაძე - ასისტენტ პროფესორი
გიორგი გვალია - დეკანი, პროფესორი
ზვიად ზალიკიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

შპს - ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენლები

გოჩა თუთბერიძე - დაწესებულების ვიცე რექტორი
მაია ხურცილავა - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე ხოშტარია - დაწესებულების ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი
ანა გვრიტიშვილი - დაწესებულების ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ბესიკ ტაბატაძე - დაწესებულების ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
გივი ბედიანაშვილი - დაწესებულების აკადემიური პერსონალი
ლაშა ჩახვაძე - დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
მანანა ხაჩიძე
ნანი არაბული
ზურაბ ბოსიკაშვილი
კესი კაციტაძე
დავით ასლანიშვილი
პაატა კუნჭულია
დავით ცირამუა
ლალი ხეჩუაშვილი
ეკატერინე ფირცხალავა
ანჟელა აბულაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:05 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა - ლევან გორდეზიანმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადიქციის კვლევების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის “ინფორმატიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს ევროპის უნივერსიტეტის “ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის “ჯანდაცვის მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ გიორგობიანმა საბჭოს გააცნო შპს კავკასიის უნივერსიტეტის წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-4 საკითხის გადადებას აკრედიტაციის მომდევნო სხდომისთვის. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შემდეგი სხდომის დღის წესრიგი:

შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

1. შპს-ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმატიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 15 მაისს, საგანმანათლებლო პროგრამა განმეორებით აკრედიტაციაზეა შემოტანილი და 4 წლის წინაც ამავე პროგრამის აკრედიტაციის პროცესშიც თავად იყო ჩართული. ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს, გაეცნენ დოკუმენტაციასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამებოდა პირველ სტანდარტს. მან შენიშნა, რომ პროგრამას გააჩნია მკაფიოდ წარმოდგენილი მიზნები და დაამატა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ABET სტანდარტების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1. სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რთულად გაზომვადი შედეგები ჩანაცვლდეს ადექვატური გაზომვადი აღწერით;
2. მკვეთრად განისაზღვროს შეფასების გაზომვადი მაჩვენებლების ზღვრული მნიშვნელობები (რომელი მაჩვენებლის რა მნიშვნელობის მიღწევისას არის აუცილებელი კონკრეტული ქმედების განხორციელება)
3. გადაიხეოს სასწავლო კურსთა სილაბუსები და მოხდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
   - ✓ საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ შეიცვალოს შინაარსობრივად (ამ შემთხვევაში საგანი უნდა გადანაცვლდეს მომდევნო სემესტრებში და შესაბამისად

დაედოს წინაპირობა) ან შეიცვალოს დასახელება შინაარსის შესაბამისად (მაგ. „კომპიუტერის ტექნიკური უზრუნველყოფა“);

- ✓ საგნისთვის „ოპერაციული სისტემები“ წინაპირობა წარმოდგენილი სახით თუ დარჩება საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უნდა შეიცვალოს შინაარსობრივად;
- ✓ საგანს „ინფორმაციული უსაფრთხოება“ წინაპირობად უნდა დაედოს ორი საგანი: 1 „კომპიუტერული ქსელები“ და „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“;
- ✓ საგანს „კომპიუტერული ქსელები“ დაემატოს წინაპირობად საგანი „ოპერაციული სისტემები“.

4. გაიზარდოს დარგობრივი არჩევითი საგნების მოცულობა და მრავალფეროვნება;
5. დაემატოს საბუნებისმეტყველო საგნები;
6. გაიზარდოს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა.

ექსპერტმა, ზურაბ ბოსიკაშვილმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ *„პროგრამის მიზანია შემდეგი ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის გამოშვება: არის პროფესიონალი ინფორმატიკის დარგში; აწარმოებს კვლევებს, აგებს, ავითარებს ან ახორციელებს ინფორმატიკის პროფილის პროექტებს სხვადასხვა სფეროში“*. მისი თქმით, საბაკალავრო საფეხური პროფესიონალს ვერ გამოუშვებდა, რადგან კურსდამთავრებულს გამოცდილება სჭირდებოდა, რომ პროფესიონალი გამხდარიყო. ასევე, მისი თქმით, სასწავლო კურსი „პროგრამირების ენა“ სხვა სასწავლო კურსებთან ერთად ისწავლება და მისი აქტუალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო, რომ ცალკე ყოფილიყო საგანი გამოტანილი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელი, ექსპერტთა რეკომენდაციების ძირითად ნაწილს დაეთანხმა. დაწესებულება იზიარებდა მოსაზრებას არჩევით საგნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხს კომიტეტი განიხილავდა და დაამტკიცებდა. ABET-თან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ შესაძლოა თვითშეფასებაში არსებული ჩანაწერი, არ იყო სათანადოდ ფორმულირებული, რადგან პროგრამა ამჟამად არ ემზადება ABET-ის აკრედიტაციისათვის, თუმცა სამომავლოდ დაწესებულება აპირებდა პროგრამის ამ გზით განვითარებას. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციას არჩევით საგნებთან დაკავშირებით და დაამატა, რომ მუდმივმოქმედი კომიტეტი მუშაობდა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებისთვის. ასევე შენიშნა, რომ არჩევით ბლოკში რაც უფრო მეტი სასწავლო კურსი იქნებოდა წარმოდგენილი, მით უფრო უკეთესი იქნებოდა სტუდენტებისთვისაც, ისინი უფრო მეტ ცოდნას შეიძენენ. დამატებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგნად ფიზიკის ჩაბარება, თუმცა ექსპერტების მოსაზრებას იზიარებდა და არჩევით საგნებად დაემატებოდა საბუნებისმეტყველო საგნები.

საბჭოს წევრი, სერგო ჭელიძე დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომის შექმნის ფორმატით, კერძოდ იმით, თუ რა ფორმატით შეიქმნებოდა საბაკალავრო ნაშრომი და როგორ მოხდებოდა მისი დაცვა. ასევე, დაინტერესდა პრაქტიკასთან დაკავშირებით, თუ სად გადიოდნენ

სტუდენტები პრაქტიკას და პრაქტიკის კომპონენტისთვის 5 კრედიტი ხომ არ იყო ძალიან მცირე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში ზუსტად იყო გაწერილი მისი შექმნისა და დაცვის წესი. მისი თქმით, ინფორმატიკის დარგში პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეძლებოდა პროგრამული პროდუქტის შექმნა და მისი წარმოდგენა, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი აკეთებდა პროგრამულ პროდუქტს, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონოდა დართული შესაბამისი დოკუმენტაცია. ეს გათვალისწინებული იყო სილაბუსში, ასევე გაწერილი იყო შეფასების კრიტერიუმებიც. მისი თქმით, არსებობს რეცენზენტი, რომელიც ნაშრომს აფასებდა, ხოლო დასრულებული პროდუქტი, პროგრამული კოდი, მოწმდება ცალკე და მისი პრეზენტაცია, წარმოდგენა ფასდება დამოუკიდებლად. მან ასევე, აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომებს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომის შემუშავებას და პროცესში სტუდენტთან მუშაობას და ისიც, თავის მხრივ, აფასებს სტუდენტს. მისი თქმით, სილაბუსში დეტალურადაა ჩაშლილი შეფასების კრიტერიუმები. რაც შეეხება პრაქტიკის კომპონენტს, დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტის ბაზაზეც არსებობს ტექნიკური ბაზა, სადაც ასევე ხდება პრაქტიკის გავლა. თუმცა, უმეტესობა სასწავლო კურსებისა მოიცავს პროექტის შესრულებას, რის შედეგადაც ჩაითვალა, რომ 5 კრედიტი ამ კომპონენტისთვის საკმარისი არის.

საბჭოს წევრი თეა მჭედლური დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელი აფასებს ცალკე, მისი შეფასება არ შედის კომისიის შეფასებაში. კომისიის როლი არის ის, რომ არ მოხდეს მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ შეფასება.

თეა მჭედლურმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა რას გულისხმობდნენ ჩანაწერში „დასკვნითი შეფასება გულისხმობს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას და კომისიის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასებას.“

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ჩანაწერში იგულისხმება 100 ქულიანი შეფასების ფარგლებში თითოეული შემფასებლის ხვედრითი წილი. პროდუქტის შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ, დასკვნით გამოცდამდე, ასევე აფასებს რეცენზენტი და კომისიის მიერ ხდება პროგრამული კოდის შეფასება. დასკვნითი გამოცდა გულისხმობს შექმნილი პროდუქტის პრეზენტაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უწყვეტ შეფასებას აკეთებს ხელმძღვანელი, ეს არის შუალედური შეფასება, ხოლო საბოლოო შეფასებას აკეთებს კომისია. ხელმძღვანელისა და რეცენზენტის ქულები იმ 100 ქულაში მონაწილეობდა.

16:35 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3[1] პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ინფორმატიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე.

2. შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით ასლანიშვილმა საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის მიზნები გასაწერია იმგვარად, რომ ცოდნა, უნარები და კომპეტენცია მკაფიოდ გამოჩნდეს პროგრამის გაცხადებულ პრიორიტეტებსა და საბაკალავრო კურსის შედეგს შორის;
2. შესაბამისობაშია მოსაყვანი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და გაცხადებული მიზნები, რამეთუ სავალდებულო და არჩევით საგანთა ერთობლიობა, რიგ შემთხვევაში, სცილდება პროგრამის შინაარსსა და მიზნებს;
3. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა, რათა უფრო დაუახლოვდეს პროგრამის სწავლის შედეგები და შრომის ბაზრის მოთხოვნები ერთმანეთს;
4. მკაფიოდ გაიწეროს ბიზნეს ადმინისტრირების დარგის კონცენტრაციების საგნები და მათი შესწავლის საგნობრივი რუკა (ფინანსები, მენეჯმენტი, აუდიტი, მარკეტინგი, ტურიზმი) და ამის საფუძველზე დაკორექტირდეს სავალდებულო/ არჩევითი საგნების პრიორიტეტები;
5. განახლებას საჭიროებს ზოგიერთი სილაბუსი, რათა სასწავლო კურსი ასახავდეს დარგში შექმნილ თანამედროვე ცოდნას;

6. უნდა გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნების სილაბუსებში არსებული შეფასების კომპონენტები, ამასთან უნდა მოხდეს კომპონენტების მეტი დეტალიზაცია საგნების სპეციფიკის შესაბამისად;
7. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საბაკალავრო ნაშრომების შესრულების მაღალი აკადემიური ხარისხი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, მოემზადებინა კურსდამთავრებული, რომელიც შეძლებს საკუთარი ბიზნესის მართვას, შეძლებს აღმასრულებელ მენეჯმენტში ან/და ზოგად მენეჯმენტში საქმიანობას. შესაბამისად, მისი თქმით, პროგრამას გააჩნია კონკრეტული სწავლის შედეგები და მის მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული კურსები, რომლებსაც გაჰყავს ამ სწავლის შედეგებამდე. ასევე, ჩატარდა გამოკითხვა სტუდენტებთან, თუ რომელი საგნები უჭირდათ და აღმოჩნდა, რომ მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მათემატიკა და ა.შ. შედის პრობლემური საგნების ნუსხაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული კომპონენტები გაძლიერდა, გაიზარდა კრედიტებისა და საკონტაქტო საათების რაოდენობა იმ ძირითად საგნებში, რომლებსაც სწავლის შედეგებზე გაყავდა სტუდენტი. მან შენიშნა, რომ ბიზნესის პროგრამის შექმნისას ფუნქციონალური მიმართულებით შესაძლებელი იყო აერჩიათ ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ან ტურიზმი, ან შეექმნათ ზოგადი პროგრამა, შესაბამისად, აღნიშნული პროგრამაც ამ უკანასკნელს შეესაბამებოდა, 240 კრედიტიც ამის მიხედვით უნდა ყოფილიყო გაწერილი. მისი შენიშვნით, საბანკო საქმეში კურსდამთავრებულს კარგად უნდა სცოდნოდა აღრიცხვა და ფინანსური მენეჯმენტი. ბანკები ითხოვდნენ კოეფიციენტების გამოყენებას, ფინანსური ანგარიშგების ცოდნას და ა.შ. საბანკო ოპერაციები კი შესაძლებელია დამქირავებელმა ადგილზე ასწავლოს, რისთვისაც საკმარისია სამი კვირა. საკრედიტო ექსპერტს სჭირდება ფინანსურ მენეჯმენტში მომზადება, ფინანსურ აღრიცხვაში, რაც პროგრამის სტუდენტებს მიეწოდებოდათ დიდი დოზით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება აბსოლიტურად ლეგიტიმური იყო, თუმცა მოცემულ შემთხვევაში მიზანი და შედეგები შესაბამისი იყო ერთმანეთის. რაც შეეხებოდა შრომითი სამართლის სასწავლო კურსს, სილაბუსის ავტორთან აღნიშნული საკითხის შესახებ გასაუბრებით დადგინდა, რომ გამოიყენებოდა გარკვეული თემები და თავები მითითებული ლიტერატურიდან. აკადემიური თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვერ შეუზღუდავდა სილაბუსში მისათითებელი ლიტერატურის რაოდენობას ლექტორს. ამასთან, სილაბუსში მითითებული ყველა წიგნი ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ნამდვილად გამოიყენებოდა სტუდენტების მიერ. საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით, უნივერისტეტს მკაცრად ჰქონდა ფორმულირებული საბაკალავრო ნაშრომის შესრულების კრიტერიუმები. შემენილი ჰქონდათ პლაგიატის ამომცნობი პროგრამა, შესაბამისად ეს გაზრდიდა ნაშრომების ხარისხს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ წარმოდგენილ 51 საგანში არის ზოგიერთი საგანი, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ბმა ბიზნეს ადმინისტრირებასთან, თუმცა საკმაოდ სუსტი, მაგალითად სოციოლოგიის შესავალი, ფსიქოლოგიის შესავალი და ა.შ. მისი თქმით, ინგლისური ენა წარმოდგენილია საკმაოდ დიდი დოზით. მან შენიშნა, რომ საბანკო სექტორის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ის სტუდენტი, რომელსაც ექნება არ საბაზო ცოდნა მაინც საბანკო საქმესთან დაკავშირებით, მას გაუჭირდებოდა დასაქმების ბაზარზე

კონკურენციაში. მისი თქმით, ეს გაზრდიდა კურსდამთავრებულთა დასაქმების შანსს და ასევე პროგრამაზე მოთხოვნაც გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ ეს საგნები იქნება.

სხდომის თავმჯდომარემ, ლევან გორდეზიანმა მიმართა ექსპერტებს, მიაჩნდათ თუ არა, რომ ამის გარეშე პროგრამა ვერ გავიდოდა შედეგზე, ანუ უნდა ყოფილიყო რეკომენდაცია, იგივე ხარვეზი თუ უბრალოდ რჩევა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ გაცემული იყო რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ბიზნეს ადმინისტრირება კლასიკური გაგებით არის ფინანსები, საბანკო საქმე, აუდიტი, ბუღალტერია და ა.შ. ხოლო, ფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საბანკო საქმე არ არის წარმოდგენილი და კარგი იქნებოდა, არჩევით საგანთა ნუსხაში მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი. მან კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ დასაქმების კუთხით ამ მიმართულების სწავლება ძალიან გამოადგებოდათ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ფსიქოლოგია არის მარკეტინგის მიმართულებისთვის მნიშვნელოვანი და მულტიდისციპლინური კვლევები ძალიან პოპულარულია დღესდღეობით. ასევე, მან აღნიშნა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სოციოლოგიის სწავლებაც, რომელიც თავის თავში გულისხმობდა ორგანიზაციული ქცევის სწავლებასაც და სოციოლოგიის ცოდნა ძალიან დაეხმარებოდა სტუდენტებს, მისი თქმით უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ჰარვარდისა და MIT-ის პრაქტიკები, ასევე რიგი ევროპული უნივერსიტეტებისა და სწორედ ამ შედარების შემდეგ გამოიკვეთა პროგრამაში მიმართულებები. მისი თქმით, პროგრამაში ისწავლებოდა ფინანსური აღრიცხვა 9 კრედიტით 6 სთ კვირაში დატვირთვა, ფინანსური მენეჯმენტი 9 კრედიტი 6 სთ კვირაში დატვირთვა, მენეჯერული აღრიცხვა 9კრედიტი 6 სთ კვირაში დატვირთვა. მან შენიშნა, რომ ხშირად ხდებოდა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე ხშირად ხდებოდა ბიზნესის ადმინისტრირებაში იდენტური საკითხების სწავლება და ხაზი გაუსვა იმას, რომ საბაკალავრო დონეზე, პროგრამაში მითითებული დოზა საკმარისი იყო. მან აღნიშნა, რომ აუდიტის დეტალური სწავლება არ იყო საჭირო საბაკალავრო საფეხურზე, ხოლო საბაზისო საკითხები ისედაც ისწავლებოდა. მისი თქმით, საბანკო საქმის არჩევით კურსად ჩართვაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ ხედავდა და შენიშნა, რომ უპირატესად მიაჩნდა სტუდენტებს თუნდაც ფსიქოლოგიის შესავალი ან თანამედროვე აზროვნების შესავალი კურსი გაევლოთ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა ანიჭებს ბიზნეს ადმინისტრირების ხარისხს, რაც მოიცავს ყველა იმ მიმართულებას, რაც შემდგომში არის ჩამლილი მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ. როდესაც თავად პროგრამას დასაქმების შესაძლებლობაში აქვს გაწერილი, რომ კურსდამთავრებული შეიძლება იყოს აუდიტორი, ფინანსური მენეჯერი და ა.შ. ამ შემთხვევაში უნდა ისწავლებოდეს ყველა აღნიშნული მიმართულების საგნები. ექსპერტების მიზანი არ არის ის, რომ პროგრამის დიზაინი შეიცვალოს, არამედ პროგრამის მიზნები იმგვარადა გაიწეროს, რომ შინაარსთან იყოს კავშირში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ სტუდენტებს ეძლევათ დავალებები და ისინი თანდათან ეუფლებიან ანალიზს, აუდიტის გარკვეულ საფუძვლებს, რადგან ჩამოყალიბდეს უნდა თუ არა ამ მიმართულებით გაგრძელება. მან შენიშნა, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული აუდიტორად არ საქმდება, არამედ უფრო დაბალ

პოზიციაზე და ის შეიძლება ჩამოყალიბდეს აუდიტორად მხოლოდ სამაგისტრო საფეხურის შემდეგ.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ბევრი უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე, თუმცა, ქართული არის სწავლების ენა და დაინტერესდა, თუ როგორ ამოწმებდა უნივერსიტეტი ქართული ენის კომპეტენციას, იმას იცოდნენ თუ არა წერა-კითხვა, მართავდნენ თუ არა ინტერვიუებს და თუ როგორ აფასებდნენ ინტერვიუს შედეგებს. იგი ასევე დაინტერესდა, ექსპერტებმა თუ გამოთქვეს ინტერესი ვიზიტისას ამ მიმართულებით და თუ შეხვდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსდ-ს ჰქონდა ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ. ერთი ნაწილი იყო საუბრის ჩანაწერი, რომელიც სამინისტროში იგზავნება და პარალელურად ტარდება წერითი ეტაპი, სადაც ხდება წერა-კითხვის უნარების შემოწმება.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ აღნიშნა, რომ მისასალმებელი იყო სამართლის კომპონენტი პროგრამაში, სადაც შემოთავაზებულია ბიზნეს სამართალი და შრომის სამართალი სავალდებულო კურსებში. მისი თქმით, ბიზნეს სამართალში ძირითადი პრობლემა ამ კურსში არის ის, რომ ეს ფუნდამენტურად არ არის ბიზნეს სამართალი, არამედ არის სამეწარმეო სამართალი ან საკორპორაციო სამართალი, ამ ორს შორის კი განსხვავება არსებითია. შესაბამისად, მისი თქმით, სილაბუსი ვერ პასუხობს სათაურს და ეს უნდა შეიცვალოს. მან შენიშნა, რომ ერთი ლექტორი კითხულობდა შრომის სამართალს, საგადასახადო სამართალსა და ბიზნეს სამართალს, თუმცა შრომისა და საგადასახადო სამართლის მიმართულებით მას არ უფიქსირდებოდა არც კვლევები და არც კვალიფიკაცია, შესაბამისად, უკეთესი იქნებოდა უფრო კომპეტენტურ პირს წაეკითხა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, თუ რამ განაპირობა პროგრამაში კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის შეტანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომი არის პროგრამაში წარმოდგენილი, უნდა ისწავლებოდეს კვლევის მეთოდები, რათა გარკვეული კომპეტენცია ჰქონდეს ჰქონდეს სტუდენტს კვლევის მეთოდებში და სათანადო დონეზე შესრულდეს ნაშრომი. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იყენებდა ჰარვარდის უნივერსიტეტის ოფიციალურ ქეისებს სწავლებაში.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ ბიზნეს-სამართლის ლიტერატურასთან დაკავშირებით შენიშნა, რომ თსუ-ში შემუშავდა ბიზნეს-სამართლის რიდერი და უსდ-ს შეეძლო გამოეყენებინა ის რიდერი. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაემატებოდა კონკურენციისა და სამომხმარებლო სამართალი არჩევით საგნებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთმა ავტორმა შეიმუშავა ყველა სილაბუსი, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ აუცილებლად ის წაიკითხავდა ყველას და უსდ აუცილებლად მოიწვევდა დამატებით პერსონალს.

17:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 17:40 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-31 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

სხდომა დატოვა საბჭოს მდივანმა, ნინო ლიპარტიამ და საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა.

3. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადიქციის კვლევები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ადიქციის კვლევების მაგისტრი 1119
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა თვითაცილება, რადგან მოღვაწეობდა აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ ვითარებაში. მან შენიშნა, რომ ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა პროგრამაზე დაფუძნებულია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირზე. მისი თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც შევიდა შეეხება კლინიკურ ფსიქოლოგიასა და კონსულტირებას, ასევე პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც უფრო მრავალფეროვანი გახდა და დაიხვეწა. მან შენიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ გააჩნია არც რეკომენდაციები და არც რჩევები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ შენიშნა, რომ ჰქონდა შეკითხვა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ თუ როგორი იყო საერთაშორისო ჩართულობა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერნაციონალიზაციას, ფაქტობრივად პროგრამა დაიწყო საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებების შესწავლის საფუძველზე. მისი თქმით, ჩარლზის უნივერსიტეტში იყო ვიზიტი ჯერ კიდევ 2010 წელს და ვიზიტორები გაეცნენ „ადიქციის კვლევების“ პროგრამას.

მან შენიშნა, რომ უკვე 2013 წელს პროგრამამ დადებითი პასუხი მიიღო TEMPUS-ის პროექტზე, ხოლო 2014 წლიდან განხორციელდა გეგმა, რომ დაწერილიყო პროგრამა. მან აღნიშნა, რომ როდესაც დაიწერა პროგრამა, იგი ითარგმნა ინგლისურად, გაიგზავნა პრაღის უნივერსიტეტში და უკუკავშირის საფუძველზე განვითარდა და დაიხვეწა. მისი შენიშნვით, პროგრამის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიადევნებდა თვალს საერთაშორისო ტენდენციებს ადიქციის კვლევებთან დაკავშირებით, შესაბამისად რეგულარულად ესწრებოდნენ პროფესორები საერთაშორისო კონფერენციებს და სტუდენტების ნაშრომებიც არის წარმოდგენილი საერთაშორისო ჟურნალებში. მან შენიშნა ,რომ ჩარლზის უნივერსიტეტი აორგანიზებდა ამ კუთხით საზაფხულო სკოლებს მომზადდა დიდი ჯგუფი ქართველი სპეციალისტებისა ამ საზაფხულო კურსებზე. ამასთან ერთად, მისი შენიშვნით არსებობს მჭიდრო პარტნიორობა ჰამბურგის უნივერსიტეტთან და ასევე იგეგმება ერასმუს+ პროგრამის ინიცირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი საერთაშორისო ექსპერტი იყო ჩართული ამ კურიკულუმის შედგენაში. მისი თქმით, ერთ-ერთი კურსდამთავრებული, რომელმაც სამაგისტრო ნაშრომი მოამზადა კლუბურ ნარკოტიკებზე, მისი ნაშრომი დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალში, რომლის იმფაქთ ფაქტორიც 1,7-ია. ასევე, მისი თქმით, არსებობს ძალიან კარგი კონტაქტები ევროპისა და ამერიკის რიგ უნივერსიტეტებთან და დამატებით, მან შენიშნა, რომ გეგმაშია, ონლაინ სწავლების მიმართულებით გაკეთდეს პროგრამა რომ პოსტ-საბჭოთა სივრცე მოეცვათ.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ იკითხა, თუ სად ხედავდა უსდ-ს კურსდამთავრებულების დასაქმების პოტენციალს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩაატარეს ბაზრის კვლევა მოცემულ დარგში. მან შენიშნა, რომ მთელი რიგი სერვისებისა ვითარდება საქართველოში და კადრებით დაკმაყოფილება ვერ ხდება. მისი თქმით, პრევენციის სპეციალისტები ადიქციის სფეროში არიან ძალიან მოთხოვნადი. ასევე, მან შენიშნა, რომ მკურნალობის სფეროში მიდიოდა მუშაობა და მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში ადიქციის სპეციალისტების არსებობაც. დამატებით, მან შენიშნა, რომ კვლევითი სფეროც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამ კუთხითაც ბევრი კურსდამთავრებული იყო დასაქმებული.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ არაპირდაპირი საქმიანობაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მისი თქმით, პირდაპირ შეიძლება არ იყოს დასაქმებული ადიქტოლოგად, თუმცა შეიძლება გამოიყენოს ეს მიღებული ცოდნა საკუთარ საქმიანობაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, პასუხობს, რომ ძალიან ფართო სპექტრის კურსდამთავრებულები არიან. მისი თქმთ, ძალიან ბევრი ფსიქოლოგი აბარებს პროგრამაზე, რომელსაც შემდეგ სურს ადიქტოლოგიის სფეროში მუშაობა. ასევე არიან სტუდენტები, რომლებიც სოციალური მეცნიერებებიდან მოდიან და აინტერესებთ უფრო მეტად საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ რიგი კურსდამთავრებულებისა მუშაობდა მონაცემთა მართვის მიმართულებითაც. მან შენიშნა, რომ სტუდენტები მოდიოდნენ გააზრებულად პროგრამაზე და ამჟამად პროგრამას ყავს 10 სტუდენტი და 20 კურსდამთავრებული.

18:05 საათზე გამოცხადდა სხდომაზე შესვენება

სხდომა განახლდა 18:20 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი;

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-31 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადიქციის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

18:30 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ლევან გორდეზიანი

მდივანი
ნინო ლიპარტია

მდივანი
სალომე თოთიბაძე